



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

№ 120

ქალაქი ქუთაისი 30 დეკემბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N79 დადგენილებაში /www.matsne.gov.ge 26.02.2015. N010250020.35.123.016289/, კერძოდ:

1. დადგენილების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“

2. დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„3. საინკასაციო მომსახურების ავტომობილებისათვის: 365 დღე - 1000 (ათასი) ლარი;“

„4. საჯარიმო (დაცულ) სადგომზე ავტომობილის გადაყვანა - 40 (ორმოცი) ლარი;“

„5. საჯარიმო (დაცულ) ავტოსადგომზე განთავსების ღირებულება - გადაყვანიდან 24 საათის განმავლობაში უფასო, ხოლო, ყოველი შემდგომი დღე - 2 (ორი) ლარი.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.